# სახალხო გაზეთი

№ 449 შაბათი, 12 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 449

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპანი“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ქციში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იბრუნება; იბნება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მცირე ლექსები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახაზლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо ...ети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



**დ. ყვირილაში**

„ათინაპნის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“, აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

**„სახალხო გაზეთი“**

სურათებიანი დამატებით

1 გიორგობისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სახაზლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დესპინე დავითის ასული ფურსადანოვისა და მისი ასული ნინო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი, პირველის—ძვირფას დედისა, ხოლო მეორის—დიდედის

კნ. ელისაბედ ანტონის ასულის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 ს. (1—931—1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

კვირას, 13 ნოემბერს, 1911 წ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ი. გედევანიშვილისა

**გამცემი**,

დრამა 3 მოქ. 4 სურათ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ამირაჯიბი, ბეჟანიშვილი, პიერეტა; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, გვარამე, მგალობლიშვილი. ციციშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: მზადდება ანტიგონა, ახალი მეძღვრება, უვიცობის მსხვერპლნი, ჩერჩეტი.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (2—929—1)

ფრანგთა უსახელო საზოგადოება კავკასიაში

**საავტომობილო მიმოსვლისა.**

ზამთრობით მიმოსვლა ავტომობილით

1911 წ. 2 (15) ნოემბრიდან

— ბორჯომსა, ახალციხესა და აბასთუმანს შუა. —

ბორჯომიდან გადის ახალციხისკენ ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე. ახალციხიდან — ბორჯომისკენ დილის 9 საათზე. კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ავტომობილი ივლის აბასთუმნამდე, ხოლო მეორე დღეს, შაბათს, უკანვე დაბრუნდება—დილის 8 საათზე, გაივლის ახალციხეს—დილის 9 საათზე.

| ფასი: | | |
|---|---|---|
| | ბორჯომ-აბასთუმანი | 5 მან. |
| | ბორჯომ-ახალციხე | 3 „ |
| | ახალციხე-აბასთუმანი | 2 „ |

ბარგი ყოველ ფუთზე—50 კაპ. (24—1581—3)

ექიმი მედიცინისა წამლობა ძლექისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10 ტელეფ. 792. (თ 100—1534—24)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ჭიჭინაძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

თერემზოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულხანოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით, (წ.—1089—60/)

**ახალი კლუბი**

შაბათს, 12 ნოემბერს, 1911 წ.

**მეოთხე კონცერტი**

ს. ი. პრესმანის ლოტბარობით და ქ-ნნ ნ. ა. პრესინსკაიას და მიხაილოვას და ბბ. ნავთისა და სარან-გუსის მონაწილეობით: აღსრულებულ იქნება: უვერტიურა „ობერონი“ ვებერისა. რომანსი ნადირისა ოპ. „მარგალიტის მძებნელნი“ ბიზესი. ისპანიური ცეკვა ნელისა. სერენადა დრიგოსი. რუსული და ტრეპაკა რუბინშტეინისა. უვერტიურა „ფინგალის მღვიმე“—მენდელსონისა. „Berceuse“ კიუისა. მუსიკალური ხუმრობა * * * მგლესიაში ჩაიკოვსკისა. ვაკხანალია (ბალეტი), ოპ. „სამსონ და დალილა“ სენ-სანსისა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

კონცერტის შემდეგ ლოტო. ორკესტრშია 30 კაცი.

სტუმრები იხდიან. კაც. 1 მ., ქალ. 50 კ. სტუდ. 25 კაპ.—გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან კლუბში შესასვლელი ფასის გადუხდელად. ფასები გალერეაში 40—10 კაპეიკამდე. ფასები თეატრში: ლოჟები 3—1 მანეთამდე, პარტერი 1 მ.-დან 20 კაპეიკამდე. (2—1583—2)

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—172

კვირას, 13 ნოემბერს, მოხდება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრთა

**წლიური კრება**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქუჩა, N 2). კრება დაიწყება დილის 10 საათზე. გარეშე პირთაც შეუძლიათ დაესწრონ.

განსახილველია:
1. საზოგადოების ანგარიში 1910 წლისა,
2. სავარაუდო აღრიცხვა 1911 წლისა,
3. ახალ წევრთა არჩევა,
4. ე. ჯანაშვილის მოხსენება ქართული „დაბადების“ თარგმნის შესახებ.

(3—920—2)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამით აუწყებს ამომრჩეველთ, რომ საბჭოს 10 ნოემბრის ახალ დადგენილებით, მომავალი არჩევნები, საქალაქო დებულებათა მე-45 მუხლის ძალით, მოხდება ბარათების მიცემით კი არა, არამედ კენჭის ყრით.

არჩევნები დანიშნულია: 27 ნოემბერს 1, 2 და მე-3 საარჩევნო უბანში, და 4 დეკემბერს—4, 5, 6 და 7—საარჩევნო უბანში, იმავ ადგილას, რომელიც წინად იყო გამოცხადებული. ამის გამო 13—30 ნოემბრამდე (დილის 10 საათიდან, ნაშუადღევის 3 საათამდე) მიიღება ამომრჩეველთა საარჩევნო ბარათები, რუსულად დაწერილი, სახმოსნო პირთა გვარისა და სახელის აღნიშვნით და აგრეთვე იმ ამომრჩეველთა განცხადებანი, რომელნიც პირადად განაცხადებენ ხმოსნობაზე ყუთის დადგმის სურვილს.

ამ სიების მიხედვით, გამგეობა 22 ნოემბერს გამოაცხადებს დასახელებულ სახმოსნო კანდიდატთა სიას და ყუთი დაედგმის ყველა იმ ამომრჩეველს, რომელიც ბარათებით ხუთ ხმას მაინც მიიღებს თუ არჩევნების მოხდენამდე უარი არ განაცხადა ყუთის დადგმაზე და აგრეთვე იმათ სიასაც, ვინც თვითონ განაცხადებს ყუთის დადგმის სურვილს.

გამგეობის კანცელარიაში ურიგდებათ ბლანკები დასასახელებელ კანდიდატთა ჩასაწერად. სავალდებულო არ არის, უსათუოდ ესეთ ბლანკზე დაწერვა, მაგრამ საქმის გასაადვილებლად კი სასურველია.

სიაში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ასარჩევ ხმოსანთა და მათ კანდიდატთა საჭირო რაოდენობას, უწყებულ საარჩევნო უბანში, სახელდობრ: პირველ საარჩევნო უბანში—არა უმეტეს 12, მეორეში—17, მესამეში—13, მეოთხეში—11, მეხუთეში—26, მეექვსეში—4 და მეშვიდეში—8. (1—1586—1)

**ვაჟთლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დადიანიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.** (წო.—1090—211)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

ექიმი კბილის ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო **მიხეილ გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—54)

დოქტორი მედიცინისა **ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—41)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—12 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N ... სახლი კაბაშვილისა. ...)

ექიმი ვ. ვაჩნაძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (...—33)

ექიმი მ. ნ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.). და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 26. ტელეფონი 322. 25—1442—71

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

გლინკის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—37)

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. ხწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სვამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—9)

**სამკურნალო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. აბპიანოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვაუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1;

მინხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ისხულიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, პიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წრეთით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—18)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ძარღვი).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა. N 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (15.899.12)

ექიმი ნ. ტ. მულიძე ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—23)


## სიხარული ნაადრევია

1.

როდესაც ხელში ვიღებთ ჩვენ მოწინააღმდეგეთა წერილს, ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, სახელდობრ ის, რომ ეს მოწინააღმდეგენი დემაგოგები არიან. ეს სიტყვა ისე ხშირად იხმარება, რომ ბევრში მისი გაგონება ისეთს წარმოდგენას არ იწვევს, რანაირიც მის შინაარსს შეეფერება. დემაგოგობა სალანძღავ სიტყვად გადაიქცა და დაგვავიწყდა, რომ იგი სალანძღავი სიტყვა კი არ არის, არამედ მთელი სისტემა მოქმედებისა, განსაზღვრულის მიზნით შექმნილი. დემაგოგი ჰქვიან ისეთს ადამიანს, რომელსაც ჰსურს დემოსის სიმპატია დაიმსახუროს, შრომა ხალხის კეთილ-დღეობისთვის და დემოსის სიმპატიის დამსახურება ერთი და იგივე არ არის, შეიძლება ადამიანი ჯვარს ეცვას ხალხის კეთილ დღეობისთვის, მაგრამ ხალხმა ეს ვერ დაინახოს. სამაგიეროდ, შეიძლება უვიცმა და გონება გაყინულმა დაიმსახუროს სიმპატია ხალხისა, თუმცა მისი მოქმედება მავნებელიც იყოს იმ ხალხისთვის, რომლის სახელითაც ლაპარაკობს. დემაგოგობა იქ არის ძლიერი, სადაც ხალხი კულტურულ განვითარების დაბალ საფეხურზე სდგას, სადაც კრიტიკული აზროვნება დახშულია, სადაც ხალხს საშუალება არა ჰქონია გაწვრთნილიყო პოლიტიკურად. პარნელი, კეთილშობილი მამულიშვილი ირლანდიისა, თავ-გამოდებით იცავდა ირლანდიის ავტონომიას, მაგრამ ბრბომ დასცა იგი, როდესაც გაიგო, რომ მას უყვარდა ირლანდიელ დეპუტატის ცოლი. ზნეობის ოფიციალურმა დამცველებმა, პარნელის მოწინააღმდეგებმა დემაგოგიურად ისარგებლეს ხალხის სიბეცით, უკულტურობით და დასცეს დიდებული მამულიშვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობის სამსხვერპლოზე დასწვა. ვინ იყო მათ შორის მართალი, პარნელი თუ მისი მოწინააღმდეგენი, ამას ეხლა ვხედავთ, როდესაც ირლანდიის ავტონომიის საქმე განხორციელების გზას ადგია.

დემაგოგი ხალხის გულის მოსაგებად არავითარ საშუალებას არ ერიდება: იგი დაამახინჯებს ფაქტებს, მოწინააღმდეგეთა შორის გამოსძებნის ისეთს მასალას, რომელიც მას დაამცირებს, თუ დასჭირდა, კიდეც იცრუებს. ამასთანავე ერთად სინიდისიც დამშვიდებული ექნება, რადგანაც მისი საბოლოვო მიზანია ბრბოს თანაგრძნობა და არა სიმართლე. რა ფასათ იქნება მოპოვებული ეს თანაგრძნობა, ამას დემაგოგი არ დაგიდევს. იგი კმაყოფილია, მაგრამ ვერა ხედავს, რომ მთელს მის არსებაში გაფანტულია დაუშრეტელი წყარო გახრწნილებისა.

ჩვენ საკმაოდ ვიწვნიეთ ნაყოფი ამ დემაგოგობისა. ოდესმე პირ-უთვნელი ისტორიკოსი, მკვლევარი ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა, გადაშლის გაზეთის ფურცლებს და დაინახავს, რა საშინელი ვაკხანალია განიცადა დემაგოგობისა ჩვენმა ქვეყანამ. ისტორიკოსმა რომ თავი შეუყაროს ყველა იმ სიცრუეს, წვრილმანსა და დიდ-მნიშვნელოვანს, რომელიც გაფანტულია ჩვენს მოწინააღმდეგეთა ნაწერებში, თავ-ზარი დაეცემა. შეაძრწუნებს არა მარტო ის, რომ დემაგოგობა არსებობდა, არამედ განსაკუთრებით ის, რომ ამ დემაგოგობაში მთელი თაობა ზნეობრივ დაკმაყოფილებასა ჰპოულობდა. შესაძლებელი რომ იყოს აღნუსხვა იმისა, თუ რანაირი შედეგი მოიტანა ამ გვარმა მწერლობამ, რანაირად წარყვნა ფსიხიკა და რა აბსურდამდე მიიყვანა გაუნათლებელ გონების აზროვნება, მემატიანე განუსაზღვრელ სულისკვეთებას მიეცემოდა და იმ აზრს დაადგებოდა, რომ დანგრეულ ოჯახის აღსადგენად საგაზეთო წერილი არა კმარა. როდესაც ავადმყოფზე ექიმის წამალი ვეღარ მოქმედებს, დოსტაქარს მიუყვანენ ხოლმე.

ასეთი დემაგოგობის ნიმუშია ის წერილი ბ-ნ ნარისა, რომელიც „მნათობში“ დაიბეჭდა „ტფილისის არჩევნების“ სათაურით. ჩვენც იძულებულნი ვხდებით ისე შევხედოთ მას, როგორც დემაგოგიურს. სასიამოვნო საქმე არ არის მსჯელობა და საგანი ამნაირს წერილებზე, მაგრამ რას გააწყობ, როდესაც ჩვენი მოწინააღმდეგეთა აზროვნება სათავეშივე მოშხამული, ვიწრო დემაგოგიურ საზღვრებს ვერა სცილდება.

ბევრი რამ დაიწერა საქალაქო არჩევნების შესახებ, საკმაოდ ნათლად გამოვთქვით ჩვენი აზრი, მაგრამ „მნათობი“ მაინც იმ დაძველებულ აზრს უტრიალებს, რომ „სახალხოელები“ რეაქციონერები არიან. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვხდებით, სანამ არსებითად შევუდგებოდეთ იმის გამორკვევას, თუ საიდან წარმოსდგება ეს დემაგოგობა თვით ბ-ნ ნარის წერილი განვიხილოთ.

ბოდიშს მოვიხდით მკითხველის წინაშე, თუ ხანდახან, მსჯელობის

მთლიანობის დასაცველად, დაგვპირდება განმეორება იმ აზრებისა, რომელთა დამახინჯებასაც ყოველ-დღე სცდილობს „მნათობი“.

იმ დადგენილების გამო, რომელიც ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს უმრავლესობამ გამოიტანა მემარჯვენე ელემენტებთან შეთანხმების შესახებ, ჩვენა ვსწერდით: „მოხდა ის, რაც ყოველ შეგნებულ ქართველის წარმოდგენას აღემატება: ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროს, ზოგიერთ გზა-კვალ აბნეულ ხელმძღვანელთა წყალობით, რომელთაც დაჰკარგვიათ უნარი მიმდინარე მდგომარეობის დაფასება-გათვალისწინებისა, გადაუწყვეტია ბლოკით შეეკრას პირველ საარჩევნო უბანში რუს მემარჯვენე ელემენტებს, რათა ამნაირი ბლოკით უზრუნველ-ყოფილიყო რამდენიმე კანდიდატი“. ამ ამონაწერს ბ-ნი ნარი არ ეთანხმება და საპასუხოდ სწერს: „ჩვენი აზრით კი მოხდა ის, რაც ყოველი შეგნებული ქართველის წარმოდგენით უნდა მომხდარიყო“. მთელი ფელეტონი იმიტომ არის დაწერილი, რომ ეს აზრი დაასაბუთოს. მოკლედ რომ გამოვთქვათ ის, რაც ბ-ნ ნარს ჰსურდა ეთქვა, მივიღებთ შემდეგს: ეს ასე უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ „სახალხო გაზეთმა“ ყველა ქართველთა შეკავშირება მოისურვა. ყველა ქართველთა შეკავშირება შეუძლებელია, რადგანაც ქართველებში დემოკრატებიც არიან და არადემოკრატებიცაო. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ ქართველ ამომრჩეველთა ბიურო მემარჯვენეებს შეუთანხმდაო. ასეთი იყო ბ-ნ ნარის აზრი, ის პოზიცია, რომელსაც ლოღიკურად აუცილებლათ უნდა მოჰყოლოდა ის, რაც მოჰყვა—მემარჯვენეებთან შეთანხმება. ამ მოსაზრების შემდეგ, რომელიც მას დამტკიცებულად და სინამდვილედ მიაჩნია, შემდეგი სახელმძღვანელო დებულება გამოჰყავს: დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთს ვერ ეგუებაო. ჩვენ ქვემოდ გვექნება მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად არ ეგუება ერთმანეთს დემოკრატიზმი და ეროვნული პრინციპი ორგანიზაციაში და არა ნაციონალიზმი, როგორც ამას ბ-ნი ნარი ბრძანებს. ჩვენ ვიცავდით ეროვნულ პრინციპს ორგანიზაციისას; თუ ბ-ნ ნარს იმდენიც არ გაეგება, რომ ეროვნული ორგანიზაცია და ნაციონალიზმი ერთი და იგივე არ არის, სულ თავი დაანებოს წერას და ანა-ბანას შესწავლა დაიწყოს. თვით ორგანიზაცია თავის-თავად არ შეიძლება იყოს არც ნაციონალისტური, არც დემოკრატული. თუ ბ-ნი ნარი და მისი ამხანაგები ერთს ორგანიზაციას შეჰკრვიან, ვთქვათ, უხეირო გაზეთის გამოსაცემად, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ისინი ნაციონალისტები არიან. ნაციონალისტებად ისინი მაშინ გადაიქცევიან, როდესაც მიზნად დაისახავენ რაიმე ნაციონალისტურ საქმის განხორციელებას.

ეს ისეთი უბრალო და საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ პირდაპირ გვრცხვენიან მასზე ლაპარაკი. ბ-ნმა ნარმა კი ეს ორი ცნება ერთმანეთში აურია და რიხიანად დაიძახა: დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთს ვერ ეგუებაო. დემოკრატიზმი და ნაციონალიზმი კი ერთმანეთს ვერ ეგუება, მაგრამ დემოკრატიზმი და დაცვა ეროვნულ ინტერესებისა იმდენად განუყოფელნი არიან ერთმანეთისაგან, რომ ფსიხოლოგიურად წარმოუდგენელია დემოკრატიზმი ეროვნულ ინტერესების დაცვის გარეშე და ეროვნულ ინტერესების დაცვა დემოკრატიზმის გარეშე.

ბ-ნ ნარისთვის საჭირო იყო მოწინააღმდეგეთა გაშავება. და რადგანაც ფაქტებისა და აზრების დაუმახინჯებლად ამას ვერ მოახერხებდა, ისიც შეუდგა ამ საქმეს. თუ რამდენად ამახინჯებს ბ-ნი ნარი ფაქტებსა და აზრებს, ამას ქვევით დავინახავთ. **არ. ჯ—შვილი.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ხართიშვილის ბოქაულად** მიხეილ ზურაბოვი დაინიშნა ნაცვლად იზიევისა, რომელიც ბაზალეთის რაიონის ბოქაულად გადაიყვანეს.

✦ **ყვარელის ბოქაულის** თანამდებობის აღმასრულებლად ტფ. პოლიციის უფროსი ზედამხედველი დიდენკო დაინიშნა.

✦ **დარჩენილი გადასახადები.** უმაღლესად ნაბრძანებია, სააღგილმამულო დარჩენილი გადასახადები ხუთის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადახდეთ: ქვათახევის მონასტერს (5,870 მან. 61 კ.) და თავადებს ლევან და ვლადიმერ აბელის ძეთ ანდრონიკაშვილებს (3,609 მან. 64 კაპ.).

✦ **ნებადართული პიესა.** ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ ტოლსტოის პიესა „ცოცხალი გვამი“, თარგმანი გ. ახალციხელისა.

✦ **„დაშნაქცუთუნის პარტიის** გამო სამართალში მიცემულია საქმის გარჩევა 17 იანვრისთვის არის დანიშნული პეტერბურგში.

✦ **სახოფლო-სამეურნეო ფერმა პატიმართათვის.** განზრახულია ბორჩალოს მაზრასა და ტფილისსაში სამეურნეო ფერმა გააშენონ ტფ. საგუბერნიო საპყრობილის პატიმართათვის. ამ ჟამად შესაფერს ალაგს ეძებენ.

✦ **ნამესტნიკის საბჭომ** 9 ნოემბერს, სხვათა შორის, დაადგინა: სამართალში მისცეს სოხუმის ქალაქის გამგეობის წევრი ალექსანდრე მაჰავარიანი და ბუჰგალტერად ნამყოფი ათაბეგოვი, რომელთაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედებათა ჩადენა ბრალდებათ.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა** 1912 წლისა უკვე შედგენილია. შემოსავალი ნავარაუდევია 2,025,000 მან., ხარჯი—3,499,000 მან. ამ რიგად დეფიციტი 1,474,000 მანეთია, რომლის დაფარვაც განზრახულია დარჩენილ გადასახადებით.

✦ **ექსარხოსის მოადგილე** ეპისკოპოსი პიმენი მთხოვნელთ იღებს ექსარხოსის ბინაზე ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსების** სამეურნეო კომიტეტის წევრად ქალაქის გამგეობის წევრი გ. დ. ჟურული იქმნა არჩეული.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც ვიცით, საკითხი ტფილისში უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე ამ ჟამად მინისტრთა საბჭოს ხელშია. რადგანაც ამ საკითხის სასურველად გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქოს ნავთის მწარმოებელთა მიერ აღთქმულ ყოველ წლიურ დახმარებას 17,000 მ., ამიტომ ტფ. ქალაქის გამგეობამ და ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიამ მწარმოებელთ სთხოვს, რომ ამ დაპირებულის ფულის განაღდება უზრუნველყონ შესაფერ დადგენილების გამოტანით.

✦ **ტფ. ქალაქის ბეითლებმა** ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, ითავოს გამგეობამ ტფილისში კავკასიის ბეითალთა კრების მოწვევა. კრების პროგრამა ბეითლებმა გამგეობას უკვე წარუდგინეს.

✦ **წ.-კითხვის საზოგადოების მოვალენი.** საზოგადოების წევრთა უმრავლესობას 1911 წ. საწევრო ფული (3 მან.) ჯერაც არ გადაუხდია. კარგი იქნება, წევრები გაიხსენებდნენ თავიანთ ვალს და ფულს დროზე გადაიხდიდნენ, მით უფრო, რომ მთავარი გამგეობა მოკლე ხანში წლიურ ანგარიშის შედგენას შეუდგება.

✦ დეპეშათა სააგენტოს ცნობით **საქართველოს ეგზარხოსი** პეტერბურგს მისულა.

✦ **საქალაქო არჩევნები.** გუშინ გუბერნატორმა საჩქაროდ განიხილა და დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც საქალაქო არჩევნები კენჭის ყრით უნდა მოხდეს.—გუშინ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საქალაქო არჩევნები 27 ნოემბერს დაიწყოს. ამ დღეს მოხდება არჩევნები 1, 2 და 3 უბნებში.

ამომრჩევლებმა თავისი კანდიდატების სია ქალაქის გამგეობას 13-დან 20 ნოემბრამდე უნდა წარუდგინონ.

✦ **სალიტერატურო და სამუსიკო დილა** 13 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზე, სახალხო სახლში სალიტერატურო და სამუსიკო დილა გაიმართება. ს. კაკაბაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურის ისტორიაში“. ახალგაზდა მწერალნი წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებთ, ხოლო კ. ჩარკვიანის მომღერალთა გუნდი ქართულს სიმღერებს იტყვის.

✦ **საზოგადო კლუბში.** დღეს 6. ი. ლებედევი წაიკითხავს რეფერატს შემდეგს თემაზე: „საისტორიო მეცნიერება და პროფ. ვ. ო. კლიუჩევსკი“; ბ-ნი ტარასევიჩი წაიკითხავს: „ახალი მიმდინარეობა სამხატვრო ლიტერატურასა და ხელოვნებაში“. რეფერატების შემდეგ საუბარი გაიმართება.

✦ **კახეთის რკინის გზა.** კახეთის რკინის გზის გამყვანნი ინჟინრები ბ-ნი რაჟიბორსკი და თავ. გ. ვ. თუმანიშვილი უკვე ჩამოვიდნენ ტფილისში და შეუდგნენ თავიანთ თანამდებობის შესრულებას. გამგეობისთვის სადგომი დაიქირავეს ფოფლოვის სახლში (ელისაბედისა და კიროჩნი ქუჩების კუთხე), სადაც მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ყოველ-გვარ ცნობების მისაღებად.

✦ **ლექცია.** ბ-ნი ანტონ ფურცელაძე ამ მოკლე ხანში წაიკითხავს ლექციას „გიორგი საააკაძეზე“ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ 10 ნოემბერს ტფილისში 67 უმასპინძლო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება** 10 ნოემბერს მოხდა. საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა განცხადება ხმოსნების ტ. ა. ენფიაჯიანცისა და ი. ნ. ხუნძცისა, რომელნიც თხოულობდნენ საარჩევნო უბნებში ხმოსანთა ხელ-ახლა განაწილებას ამომრჩეველთა საბოლოოო სიის მიხედვით. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია 23 ხმოსნის განცხადებამ. როგორც მკითხველთ თავის დროზე ვაცნობეთ, ეს ხმოსნები თხოულობდნენ, საბჭოს გაეუქმებინა თავისი წინანდელი გადაწყვეტილება ბარათების არჩევნების მოხდენის შესახებ და დაედგინა, არჩევნები კენჭის ყრით მოხდეს. დიდის კამათის შემდეგ საბჭომ სამის უმეტესობით (26 ხმით 18 წინააღმდეგ) დაადგინა: არჩევნები კენჭის ყრით მოხდეს.

## სასწავლებელში

✦ **ვაჟთა პირველი საკვირაო სკოლა** მასწავლებელ ქალთა საზოგადოების ხელში გადავიდა. მეცადინეობა სკოლაში 20 ნოემბერს დაიწყება. მსურველთ მიიღებენ 13 და 14 ნოემბერს დილის 11 საათიდან სკოლის შენობაში (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 29).

## სასამართლო.

✦ **კავკასიის სამხედრო სასამართლოში** დაიწყო გარჩევა თელავის მაზრის ბოქაულის თანაშემწედ ნამყოფ ყანჩელის საქმისა. ბრალად ედება ის, რომ ყაჩაღებს აქეზებდა შილდის მამასახლისის ზაქარია მჭედლიშვილის მოსაკლავად.

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სხდომა,** რომელიც საქმეების გასარჩევად ახალქალაქს იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა და დუბროვინის საქმე.** 11 ნოემბრისთვის ტფ. ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო საინტერესო საქმე. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი პეტერბურგის შავრაზმულ გაზეთ „რუსკოე ზნამია“-ს რედაქტორს ცნობილს ა. ი. დუბროვინს უჩიოდა ცილისწამებისათვის. შარშან დუბროვინმა თავის გაზეთში წერილი დაბეჭდა ტფილისში ალმოჩენილ „წითელ ოთახის“ შესახებ. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ „წითელ ოთახში“ მზრუნველის ქალიც იღებდა მონაწილეობას და ეს გარემოება გახდა მიზეზი დუბროვინის სამართალში მიცემისა. სასამართლომ საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადასდო, რადგანაც დუბროვისთვის სასამართლოს უწყება არ ჩაუბარებია.

## ქუთაისი

✦ **გზათა სამინისტროს** მიერ სახ. სათათბიროში წარდგენილია გასარჩევათ კანონ-პროექტი სახელმწიფო რკინის გზებზე მოსამსახურეთათვის **შემნახველ-დამხმარე კასისა.** ეს კანონ-პროექტი შეეხება ერთ მილიონ მოსამსახურეს. შემნახველ-დამხმარე კასა არსებულ საპენსიო კასების მაგივრობას გასწევს. მასში მონაწილეთ მისცემს უფრო ერთდროულ დახმარებას. კასის თანხა ამნაირად უნდა შედგეს: მოსამსახურეები შეიტანენ ჯამაგირის 6 პროც., ხოლო ხაზინა $4^1/_3$ პროც. კასის წესდების ძალით, მოსამსახურე, რომელმაც 15 წელიწადი იმსახურა და მუშაობის ილაჯი აღარ შესწევს, მიიღებს ვინც 600 მანეთს წლიურ ჯამაგირს იღებდა, 1323 მან. ერთდროულ დახმარებას, 20 წლის სამსახურისათვის — 1950 მან.; 25 წლის სამსახ.—2714 მან.; 30 წლ. სამს.—3643 მან. და ვინც 35 წელიწ. იმსახურა, ის მიიღებს 4774 მანეთს. ეს ფული, თუ მოსამსახურე მოისურვებს, შეიძლება პენსიის მხრით მიეცეს. იმ შემთხვევაში, როცა იგი სრულიად ჰკარგავს შრომის უნარს, მას მიეცემა ამ ერთდროულ დახმარების გარდა კიდევ 120 მან. წლიური პენსია. თუ მას ჰყავს წლოვანი (18 წლის. ნაკლებისა) ბავშვებიც ჰყავს, თვითეულ ბავშვზე მიეცემა 24 მან., ისე კი რომ ეს თანხა 120 მანეთს არ გადასცდეს.

✦ **სალიტერატურო გასამართლება.** ადგილობრივ ქალაქის თეატრში ახლო მომავალში გაასამართლებენ ისტორიულ გმირს გ. სააკაძეს.

✦ **ხიდ. სამტრედია.** კვირას, 6 ნოემბერს, ადგილობრივ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებასთან არსებულმა სექციამ გამართა მეორე მორიგი წარმოდგენა. ითამაშეს: „როს ნადიმობდნენ“ და „ბაიყუში“. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ სცენის მოყვარეებმა ამ დღეს მოლოდინს გადააჭარბეს და მწყობრი თამაშით დამსწრე საზოგადოება ძლიერ ასიამოვნეს.

✦ 6 ნოემბერს აბაშის საზოგადოებაში (ქუთ. მაზრ.) ხეისწყალის პირას წისქვილის ახლოს, **იპოვეს ერთი კვირის ბავში,** მასთან იდვა პატარა რძიანი ბოთლი, „სოსკით“. როგორც სჩანს ეს გადაგდებული ჩვილი ბავში უკანონოთ შობილია.

✦ ამავე საზოგადოების სოფელ გორმაღალში დაარსდა ერთკლასიანი სამინისტრო **სკოლა,** სადაც ნოემბრის დამდეგიდან დაიწყო სწავლა.

✦ ოთხშაბათს, 9 ნოემბერს, საოლქო სასამართლომ გაარჩია თავდასხმის საქმე, რომელშიაც ბრალი

# ანტიპედაგოგიური ქიუტობა

## „კოლხიდის“ პედაგოგისა.

გაგრძელება *).

გნებავთ, ახლა სასულიერო ბიუროკრატიის ჩემდამი და ჩემი რუსული სახელმძღვანელოს თანაგრძნობით დასტკბეთ? ინებეთ. ჩემი „რუსკოე სლოვოს“ დაბეჭდვის შემდეგ თუნდა ექვსმა-შვიდმა წელიწადმა განვლო და სასულიერო მთავრობის მოწონება არ ეღირსა მას. სკოლებში ხმარებას არ უკრძალავდნენ, მაგრამ ოფიციალურად კი არ იწონებდნენ. ეს ორჭოფი მდგომარეობა გაგრძელდა იქნობამდის, ვიდრე ბატ. კორხანიძიმ არ გამოსცა რუსული სახელმძღვანელო ბერძნულის სკოლებისათვის, რომელიც აშკარა მიბაძვა იყო ჩემი „რუსკოე სლოვოსი“ და მასწავლებელთათვისაც დარიგება თითქმის სიტყვა-სიტყვით ნასესხები ჰქონდა. ჩემის მეთოდიკიდან კორხანიძის სახელმძღვანელო არამარტო მოიწონა ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ, არამედ თავისიფულითაც გამოსცა. მე ვისარგებლე ამ შემთხვევით, გავუთვალისწუნე მთავრობას მისი უკიდურესი უსამართლობა და მოვითხოვე მოწონება ჩემი სახელმძღვანელოსი. ბედად, მაშინ საქართველოს ქორ-ეპისკოპოზად ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო კირიონი, და თანახმად მისი და ნიკოლოზ ტატიშვილის მოხსენებისა, რომელიც იყო საეპარქიო მეთვალყურედ, ადგილობრივმა მთავრობამ მოიწონა ჩემი წიგნი და გაგზავნა სინოდში სანქციისათვის, რომელიც დაგვიანდა. მიზეზი ამ დაგვიანებისა გადმომცა პროფესორმა ცაგარელმა. ერთმა ბობოლა ბიუროკრატმა სინოდის სფერისამ მითხრაო: თქვენი პედაგოგი გოგებაშვილი თავის რუსულს სახელმძღვანელოშიაც პატრიოტობსო: იგი ქართველს ბავშვებს რუსულადაც აგონებს, ქართველებმა მე-4 საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობაო, რუსებმა კი მეცხრეშიო, ხუთი საუკუნით გვიანაო. ამით იგი ბავშვის თვალში ქართველებს მაღლა აყენებს რუსებზედაო და ეს კი არ ვარგაო. პროფესორს, რასაკვირველია, ღირსეული პასუხი მიეცა, მაგრამ ეს არაფერი. უფრო საარსო მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ. ეპარქიალური საბჭო ეუბნება მასწავლებლებს: თუ შეცვლილს მუნჯურს წიგნს წაიღებთ, მუქთად მოგეცემათო; თუ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს ამჯობინებთ, თქვენ თითონ იყიდეთო. წყალობაც ასეთი უნდა!

„კოლხიდის“ პედაგოგი ჩემის „„რუსკოე სლოვოს“ დამცირებით არ დაკმაყოფილდა. მან მოინდომა უფრო მეტი რამ.

მოიწადინა ჩემი ქართული სახელმძღვანელონიც და მეც დავემცირებინე. მაგრამ თუ ქვეყნის თვალში შესაძლებელი ყოფილიყო ვისიმე, ან რისიმე დამცირება სიცრუით და ცილის წამებით, ქვეყანაზე დაუმცირებელი მოღვაწე გაწყდებოდა. ბედად, ხდება სრულიად წინააღმდეგი: ცრუპენტელა და ცილისმწამებელი კალმოსანი თავის თავს ამცირებს და ანადგურებს ფართო საზოგადოების თვალში.

ჩვენი პედაგოგი ეუბნება მკითხველებს: გოგებაშვილი დასწყევლიდა და შეაჩვენებდა ხოლმე ყველას, ვინც კი გაბედავდა მისი სახელმძღვანელოს კრიტიკულად განხილვას ან საკონკურენციო სახელმძღვანელოს გამოსცემდაო. ბრალდება მეტად მძიმეა; მაგრამ იგი მოკლებულია იოტის ოდენა სიმართლესა და წარმოადგენს ხალას ცილისწამებასა. მასუკან, რაც მე „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ გამოვეცი. თუნდა შვიდი-რვა ქართული სახელმძღვანელო დაბადებულა. ამ სახელმძღვანელოების ავტორები, გამოცემის წინად, კარგად შემაკობდნენ ხოლმე ჩემს სახელმძღვანელოებს, რათა ახლად დაბადებულისათვის გზა გაეკვლიათ. მე ხან პასუხს ვაძლევდი, ბრალდებას ვამტყუნებდი, ხან სიჩუმით ჩავატარებდი ხოლმე საქმესა. ამ ჩემს კონკურენტებს მთავრობა ხელს უწყობდა, ზოგს ფულსაც აძლევდა გამოსაცემად, სწრაფად იწონებდა და მოსწავლებს ურჩევდა მათ შემოღებასა; მაგრამ მე არც ერთი მათგანი არ გამირჩევია, კრინტი არ დამიძრავს; და თუ მათი პირველი გამოცემა უკანასკნელიც იყო, ამაში დამნაშავენი იყვნენ მხოლოდ ავტორები და მათი წიგნები. ერთად-ერთი ფაქტი თითქო გამონაკლისს შეადგენს; მაგრამ მხოლოდ თითქო. ამ ფაქტს პატარა წინასიტყვაობა უნდა წაუმძღვარო, უამისოდ მისი გაგება ძნელია.

თორმეტიოდე წლის წინად მზრუნველმა იანოვსკიმ ამგვარი წინადადება მომცა: ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსულის ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენის „დედა-ენისა“, რომელიც დიდს დროს ითხოვს თვისი გათავებისათვის. ქართულის წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია, და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდის მივედით: მოგცეთ წინადადება, ერთი-ორად შეამოკლოდ „დედა-ენა“ და გვერდში, პარალელურად, ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამგზით ქართული ენაც საკმარისად შეისწავლება და რუსული ენაც წინ წავა. გაძლევთ ერთს კვირას მოსაფიქრებლად. თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თითონ გამოსცემს სახელმძღვანელოს და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გაირიყება. როცა ეს წინადადება მოვახსენე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ზოგნი წევრნი, და მათ შორის თავმჯდომარის ამხანაგიც, იმ აზრს დაადგნენ, რომ, მეტი გზა, არ არის, უნდა დავყაბულდეთ, „დედა-ენის“ ნახევარს მაინც გადავარჩენთ,—თორემაო, იგინი გამოსცემენ მახინჯს რასმე, ისიც რუსული ალფავიტითო, და საქმე სრულიად წახდებაო. მე ამაზე კატეგორიული უარი განვუცხადე და ვთქვი: ახლანდელი სახით დამარხული „დედა-ენა“ მკვდრეთით შეიძლება მალე აღდგეს; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდარი დარჩება მეთქი.

ერთი კვირის შემდეგ მივედი იანოვსკისთან და მოვახსენე: თქვენი წინადადება კარგად ავწონ-დავწონე და იმ აზრზე დავდექი, რომ მისი განხორციელება მავნებელი იქნება რუსულისათვისაც და ქართულისათვისაც მეთქი, ეს ორი ენა სხვა და სხვა ნათესაობას ეკუთვნის და ერთის პედაგოგიური თანდათანობა მეორისას ბევრად ეწინააღმდეგება მეთქი. პედაგოგია მოითხოვს არა პარალელურს მეთოდს, არამედ შედარებითსა მეთქი. ამ მეთოდის მიხედვით, ქართველმა ბავშვებმა ჯერ ქართული წიგნი უნდა ისწავლონ და მერე რუსულზე გადავიდნენ და ყველა ნაბიჯზე ადარონ ერთმანეთს ეს ენები მეთქი. თვითონ თქვენი სამოსწავლო გეგმა ითხოვს არა პარალელურს, არამედ შედარებითს მეთოდს მეთქი. იგი სავალდებულოდ ჰხდის მთელის პირველის წლის განმავლობაში მხოლოდ ქართული წიგნი ისწავლონ და რუსული წერა კითხვა კი მეორე წლიდან დააწყობინონ მეთქი.

„თქვენი ნებაა, მიპასუხა: მაგრამ იცოდეთ, რომ სანაცვლოდ თქვენის დედა-ენისა ჩვენ თვითონ გამოვსცემთ ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოსაო. მოვახსენე: მაგ შემთხვევაში მე უსათუოდ ვიჩივლებ საქართველოს მეფესთან მეთქი. იანოვსკიმ საეჭვო თვალით შემომხედა, გაიცინა და მიპასუხა. სად არის საქართველოს მეფე? ერთს საუკუნეზე მეტია, რაც იგი აღარ არსებობს. არა მეთქი, იგი არამც თუ არსებობს, მთელს რუსეთზე ბრძანებლობს მეთქი. რუსეთის იმპერატორი მეფეა საქართველოსიც. და მას მივმართავ საჩივრათა და მოვახსენებ, რომ მისი ერთგული ქართველი ერი განიცდის იმისთანა შევიწროებას, რომელსაც მოშორებულია ყოველი კულტურული ერი, რუსეთის საზღვრებში

*) იხ. „სახალხო გაზეთი“, N 448.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედებოდით გიორგისა და დავით გელაშვილებს. პირველს სასამართლომ მიუსაჯა 15 წ. კატორღა, მეორეს—8 წ. და 8 თვის.

(„მნათობი“).

## ფოთი

◆ კვირას, 6 ნოემბერს, წ. კ. გ. ს. ადგილობრივ განყოფილების გამგეობის თაოსნობით საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ცხვედაძის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე. ყოვლად სამღვდელომ დიდ-ძალ დამსწრე საზოგადოებას მიმართა გრძნობიერი სიტყვით და აღნიშნა, თუ რა ღვაწლი მიუძღოდა განსვენებულს სამშობლო ქვეყნის წინაშე...

## ბაქო

◆ პატრონების აღმოჩენა გემზე. მაძებარმა პოლიციამ ცნობა მიიღო, ვიღაც უცნობი გემით პატრონების გაგზავნას აპირებს სპარსეთში. კონტრაბანდის აღმოსაჩენად პოლიციელებმა ლენქორანისკენ მიმავალი გემი „კნიაზ ბორიატინსკი“ გასჩხრიკეს. გემზე იპოვეს ორი შაქრის თავი, რომელიც მეტად მძიმე იყო. როდესაც გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ შაქრის ქაღალდებში პატრონები იყო გახვეული, სულ 1,650 ცალი. პატრონის მიმტანი ვერ აღმოაჩინეს.

## ბათუმი

◆ ბათომის პოლიცმეისტერმა 7 ამა თვის თარიღით შემდეგი ბრძანება გასცა ქალაქის პოლიციისადმი: „კომენდანტის ბრძანებით აკრძალული აქვთ ჯარის კაცებს სახადის ეპიდემიის დროს თათრის ბაზარში სიარული და აგრეთვე თავის ნივთების გაყიდვა. ამის გამო მივუწერ გ. ბ. ბოქაულებს, თვალყური ადევნონ, რათა ეს ბრძანება არავინ დაარღვიოს და რომელ ჯარისკაცსაც შეამჩნევენ თათრის ბაზარში, იმ წამსვე დაითხოვონ იგინი იმ ადგილიდან, გაიგონ გვარი ჯარისკაცისა და იმ პოლკის ნაწილი, რომელსაც ჯარისკაცი ეკუთვნის და ყოველი ამისთანა შემთხვევა მომახსენონო“.

◆ 6 ნოემბერს, ღამით, თფილისის ქუჩაზე პოლიციელმა დააპატიმრა ივანე ნუცუბიძე და პანჩო სტილიანიდი, რომლებსაც ტომრებში აღმოაჩნდათ მოპარული საქონელი. („ბათ. გაზ.“).

## პროვინცია

◆ თელავი. სოფ. კონდოლში სპირიდონს შაქარაშვილს უცაბედად თოფი გაუვარდა და ტყვია გულში მოხვდა. შაქარაშვილი გარდაიცვალა

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

10 ნოებერი

**შანხაი.** ნანკინის მდგომარეობა არ შეცვლილა. ნანკინიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე მთავრობის ჯარმა რკინის გზა გააფუჭა. შანხაიში მშვიდობიანობაა. წუხელის საბაჟოს საწყობი გაძარცვეს, სამხედრო იარაღი წაიღეს. საბაჟო უცხოელთა ფირმას ეკუთვნოდა. ასეთი ძარცვა მეორედ მოხდა.

**მუკდენი.** მშვიდობიანობის დამცველმა კომიტეტმა იაპონელთა ბანკთან მოლაპარაკება გამართა ოთხ მილიონ მანეთის სესხების თაობაზე. ამბობენ, საქმე მოგვარდებაო.

**შანხაი.** კანტონიდან თიანძინს დიდძალი ჯარი მიდის. აქედან პეკინზე გაილაშქრებს. შანხაის არისტოკრატიამ და სტუდენტობამ ცზიანსის გუბერნატორს სთხოვეს, დამფუძნებელი კრება მოიწვიეთ სარესპუბლიკო მთავრობის დასაწესებლადაო.

**უჩანფუ.** ამბობენ, რევოლუციონერებს განზრახვა აქვთ გზათა სამინისტრალ შენსუანქუისა და გენერალ ჩანის ქონება სამხედრო ხარჯის დასაფარავად მოიხმარონ.

**ტოკიო.** სიანფუში ევროპიელის მოკვლის ამბავმა უფრო გააძლიერა ის აზრი, რომ სახელმწიფონი, განსაკუთრებით რუსეთი და იაპონია, უეჭველად უნდა ჩაერივნენ ჩინეთის საქმეებშიო.

**პეკინი.** სამხრეთელი მოხელენი პეკინიდან სამშობლოს ბრუნდებიან ავტონომიურად მოწყობილ საქმეებში მონაწილეობის მისაღებად. სამინისტროები დაცარიელდა. ჩრდილოეთის ჯარის მდგომარეობა ძალიან ცუდადაა. ჯარისკაცნი ჯგუფობრივ გარბიან. ჩენსიე პროვინციაში მანჯურთა გარნიზონსა და ახალ ჯარს უთანხმოება აქვთ ერთმანეთში. ამბობენ, ამ დღეებში რეგენტი თათბირსა ჰმართავს ქუჩის რევოლუციონერებისაგან წარდგენილ მოთხოვნილების თაობაზე. შანხაის რევოლუციონერებმა ესკადრა შეადგინეს ჩრდილოეთისკენ გასაგზავნად. შენსის მთებში გამაგრებულ რევოლუციონერების წინააღმდეგ პეკინიდან 800 კაცი გაიგზავნა ცზიანმუტის მეთაურობით.

**ჩიფუ.** ამერიკისა და იაპონიის ჯარი გემებზე დაბრუნდა. გაზეთები სწერენ, შანტუნის სატახტო ქალაქ ცინანფუში რესპუბლიკა გამოაცხადესო. პრეზიდენტად გუბერნატორი სუნდაოჩი აურჩევიათ.

### გაზეთებიდან.

**ლონდონი.**

პეკინიდან „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, ელჩებმა ცნობა მიიღეს, რუსეთმა აღმოსავლეთ ციმბირში ჯარის თავმოყრა დაიწყო, რადგან ჩინეთში ანარქია არ ისპობაო.

**პარიზი.**

აქ ფიქრობენ, ჩინეთის საქმეებში სახელმწიფოთა ჩარევა უეჭველად საჭიროაო.

პეკინიდან იუწყებიან, სიანფუში არეულობის დროს ბევრი ევროპიელი ამოხოცესო.

ჩინეთიდანვე იუწყებიან, საპროვინციო საბჭოებმა უარი შეუთვალეს მთავრობას, რომელიც ახალ მართვა-გამგეობის ფორმის შესამუშავებლად დელეგატების გაგზავნას ურჩევდაო.

შანხაიში ბევრი დელეგატი მივიდა დროებით მთავრობის მართვა გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად. გუანდუნის პროვინციაში გრძელი თმის ტარება აკრძალეს. („კასპი“).

**პეტერბურგი.**

დიპლომატთა წრეში ამბავი მოვიდა, ჩინეთში ფედერატიული რესპუბლიკა გამოაცხადესო. რესპუბლიკის პრეზიდენტად გენერალი ამოურჩევიათ. რესპუბლიკის სატახტო ქალაქი უჩანი იქნება.

**ბერლინი.**

პეკინიდან დეპეშით იუწყებიან, სასახლეში იმპერატორის მახლობლებმა და ბატონიშვილებმა თათბირი იქონიეს და გადასწყვიტეს, უცხო სახელმწიფოთ მიმართოთ ჩინეთში წესიერების აღსადგენად და არეულობის ჩასაქრობადაო.

რევოლუციონერთა გარეშე საქმეთა მინისტრმა ევროპის ელჩებს აცნობა, ჩინეთის 14 ფედერატიულ პროვინციათა დელეგატების კრება დეკემბრის დამლევს ქალაქ უჩანში მოხდებაო.

# სპარსეთის არეულობა

დეპეშები

11 ნოემბერი.

**რეშტი.** სალიანის პოლკის სამი ბატალიონი მოვიდა.

**თავრიზი.** თავრიზს ახლო, ნემეტ-აბადში, რუსეთის ელჩის აგარაკს 5,000 კაცი შეეფარა. ისინი რუსეთის მფარველობას ითხოვენ, რადგან ფიდაების შიში აქვთ. თავრიზის გზა გახსნილია. ქარავნების მიმოსვლა აღდგენილია. შუჯაუდდოულე ისევ ბასმინჯშია. რუსეთის ქვეშევრდომთა დასაცველად გაგზავნილ სუნჯა-ვლადიკავკავის პოლკის რაზმს მარაგის მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გრეიმ განაცხადა, სპარსეთიდან მოსული ცნობები მარწმუნებს, რომ რუსეთის მოთხოვნილებას სპარსეთი აასრულებსო. რუსეთის მთავრობა ირწმუნება, სპარსეთში ჯარი მხოლოდ ჩვენ მოთხოვნილებათა ასრულების უზრუნველსაყოფად გავგზავნეთო.

### გაზეთებიდან.

ორას მეექვსე ქვეითა ჯარის სალიანის პოლკი სპარსეთს გაემგზავრა საზოგადოების „კავკაზ ი მერკურის“ გემ „არმიანინითა“, „მუშით“ და „კასპით“. ჯარის გადასხმა „კავკაზ ი მერკურის“ ნავთსადგურში მოხდა. პოლკთან ერთად გაემგზავრა მსწრაფ-მსროლელთა ერთი როტა.

გუშინ ბაქოზე გავლით სპარსეთისაკენ გაემგზავრა კავკასიის საპიორთა მესამე ბატალიონი. თან ჰქონდა სამხედრო ხიდები, ტელეგრაფი, ნაღმები და სხვა.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

10 ნოემბერი.

**სტამბოლი.** „შეთანხმების“ პარტიის პროგრამა გამოცხადდა. პარტიაში 60 დეპუტატია. პროგრამა შინაურ განწყობილებასა და გარეთ შეთანხმებას ჰქადაგებს. ამბობენ, პარტიაში ქამილ-ფაშაც არისო.

**ტრიპოლი.** გუშინ თვალსაჩინო არაფერი მომხდარა. დილას ჯავშნოსანი ბუსკფას ესროდა. სროლას ქარიშხალისაგან ავარდნილი კორიანტელი ხელს უშლიდა. ბენგაზში 68 პოლკსა და ოსმალებს ბრძოლა ჰქონიათ. ოსმალები დამარცხებულან. ამბავი მოვიდა, დერნასთან 3 ნოემბერს მომხდარ ბრძოლაში ოსმალებს 110 მოუკლესო.

**სტამბოლი.** „ტანინი“ მთავრობას ურჩევს, სახელმწიფოებს მიმართე, კრიტეში მაჰმადიანებს გამოესარჩლოს, რადგანაც აჯანყება მოსალოდნელიო.

### გაზეთებიდან.

**პეტერბურგი**

პეტერბურგში მყოფ იტალიის ელჩს მელეგორის ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგე ნერატოვთან. ამბობენ, ელჩმა განაცხადა იტალია ეგეის ზღვაზე არ დაიწყებს მოქმედებას, მაგრამ თავისუფალ მოქმედების უფლებას კი იტოვებს ოსმალეთის ევროპისა თუ აზიაში მდებარე ოსმალეთის სამფლობელოშიო.

**რომი.**

ამბავი მოვიდა, სმირნაში ოსმალებმა მძევლად წაიყვანეს რამდენიმე იტალიელი მუშაო.

**სტამბოლი.**

ოსმალეთში მცხოვრები იტალიელები ოსმალეთის ქვეშევრდომობას ღებულობენ. ამის თაობაზე განცხადება შეუტანია ოსმალეთში მცხოვრებ იტალიელთა 20 პროცენტს.

**ლონდონი.**

მალტიდან იუწყებიან, რადგანაც ეხლა არაბები სამუშაოზე არიან გასულნი, გენერალი ფრუგონი აპირებს 18 ათასი კაცით ანსარასა და გაირანზე გალაშქრებასაო.

**ვენა.**

ოსმალეთის ელჩმა ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა გადასცა, რითაც პორტა აცხადებს, ზომები მივიღეთ, რომ თუ ეგეის ზღვაზე ბრძოლა დაიწყო, მზად ვიყვნეთო. ამის გამო ოსმალეთი ეხლავე აცხადებს, ჩემი ბრალი არ იქნება, თუ ნეიტრალ სახელმწიფოთ რაიმე ზარალი მოუვათო.

**სტამბოლი.**

სალონიკიდან იუწყებიან, იტალიის გემები ეგეის ზღვაზე მოქმედების დასაწყებად მოხერხებულ ადგილს ეძებენო.

**რომი.**

იტალიის მთავრობამ აკრძალა ყოველი აღებ-მიცემობა ტრიპოლისა და კირენაიკში, ვიდრე ამ ოლქების მართვა-გამგეობას სასურველად არ მოაგვარებენ.

უმავთულო ტელეგრაფის გამომგონი მარკონი ტრიპოლს მიდის უმავთულო ტელეგრაფის მოსაწყობად.

ბრიტანიის ელჩმა იტალიის მთავრობას შეუთვალა, სასურველი არ არის მეწამულ ზღვის გარემოცვა, რადგან შეიძლება ეგვიპტეში აღელვება და არეულობა გამოიწვიოსო. იტალიის მთავრობა ამ აზრს დაეთანხმა.

**ბერლინი.**

ამბობენ, იტალიის მთავრობამ ავსტრიასა და გერმანიას მიმართა, ოსმალეთზე გავლენა მოახდინეთ და ზავი ჩამოაგდეთ, თორემ სამთა კავშირიდან გამოვალო. გერმანია და ავსტრიას უარი შეუთვლიათ, რადგან ეხლა ტრიპოლიში ოსმალთა მდგომარეობა იტალიელებისას სჯობიან.

**პარიზი.**

ტუნისის მთავრობას ებრძანა, ტრიპოლისის საზღვარზე თვალი ფხიზლად გეჭიროთ, ოსმალთათვის გასაგზავნი კონტრაბანდა არ გაგეპაროთო.

**ათინა.**

ოსმალთა არქიპელაგის კუნძულებს საჩქაროდ ამაგრებენ და ნაღმების რგოლს ავლებენ. („კასპი.“)

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ნოემბერი.

### საზღვარ-გარედ.

**სტოკჰოლმი.** შვეციის ახალი საბაჟო კანონი 17 ნოემბრიდან ძალაში შევა.

**ვიგო.** შეეზუში მონარქისტების შეთქმულება აღმოაჩინეს, შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ უნტერ-ოფიცრები, რომელთაც დაიფიცეს, ოფიცრებს დავხოცთ, როგორც კი მონარქისტები მოვლენ.

**ხომური.** მონტრეალის ახლო წყალდიდობამ სარკინიგზო ხიდი გააფუჭა. მატარებელი მდინარეში გადავარდა ბევრი დაიღუპა.

**ტოკიო.** წუხელის სანოს რკინის გზაზე საფოსტო მატარებელი გაძარცვეს. მოკლულია კონდუქტორი. ერთი მძარცველი დაიჭირეს. იაპონიაში ამისთანა შემთხვევა პირველია.

**ხომური.** მონტრეალთან მომხდარ უბედურების დროს 30 კაცი დაიღუპა, 3 ორთქლმავალი და 5 ვაგონი წყალში ჩაიძირა ერთ-ერთ გადავარდნილ ვაგონში ათი მგზავრი გადარჩა.

**ბერლინი.** ხელფასის მომატების ნიადაგზე ქალთა ტანისამოსის მკერავ სახელოსნოების 8 ათასი მუშა გაიფიცა.

**ლონდონი.** ბერესფორდმა პარლამენტში გერმანია-ინგლისის ურთიერთობის თაობაზე სიტყვა წარმოსთქვა; აღნიშნა, ინგლისს საზღვაო დაცვა ჯეროვნად ვერ აქვს მოწყობილი, რადგან სამხედრო-საზღვაო შტაბი არა აქვსო.

**ჰააგა.** ზედა პალატამ მოიწონა ახალი კანონი, რის ძალითაც ყოველწლივ ჯარში გაწვეულთა რიცხვს 22 ათასი ემატება.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესე“ იუწყება, მთავრობას სურს იტალიის საზღვარზე ჯარი გააძლიეროს სახელდობრ, ტიროლში.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. სოციალისტები მთავრობისაგან აგენტ-პროვოკატორების სიის გამოქვეყნებას მოითხოვენ. სოციალისტები დოსში კადიოს იმოწმებს, წინანდელი მთავრობა პროვოკატორების დახმარებას არ ერიდებოდაო. კადიო უარყოფს ამას, ბრიანიც პროტესტს აცხადებს. პალატამ 355 ხმით 103 წინააღმდეგ მოიწონა მთრიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა.

### რუსეთი.

სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს 1 იანვარს ვარშავა-ვენის გზის გამოსყიდვის კანონ-პროექტი.

---

მოქცეულიო. იანოვსკიმ მიპასუხა: რა საჭიროა ხელმწიფე შეაწუხო; ის არა სჯობიან, რომ სამინისტროში გვიჩივლოო. არა მეთქი, როცა საქართველო ნებაყოფლობით უერთდებოდა რუსეთს, მფარველობა და რუსებთან თანასწორობა აღუთქვა არა სამინისტრომ, არამედ რუსეთის ხელმწიფემ მეთქი და ამის გამო უკეთესია მას მივმართო მეთქი. იანოვსკიმ ცოტა ტკბილად მკითხა: პირდაპირ გაუგზავნითო ხელმწიფეს თქვენს საჩივარსაო? არა, მეთქი, გავუგზავნი, იქნება მარშლის მუხრანსკის ხელითაც, დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძესა, და ვთხოვ ეს შევიწროება ხელმწიფეს მოახსენოს მეთქი. დიდი მთავრის ხსენებამ საოცარი ცვლილება მოახდინა ბოლოს მესაუბრეში. იგი მორბილდა და უფრო ხათრიანი კილოზე გააგრძელა ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ, იანოვსკი დიდს მთავარს ისე აჩვენებდა თავსა, თითქო მისი მადლიერნი ყოფილიყვნენ ქართველებიც, სომხებიც და სხვებიც, და ამ გზით უნდოდა განსაკუთრებული ყურადღება დაემსახურებინა და სახელმწიფო საბჭოს წევრი გამხდარიყო. და აკი კიდევაც გახდა. გამოსალმების დროს მითხრა: „მე მაინც იმედ არა ვკარგავ რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენს წინადადებაზე დაგვეთანხმებითო“. მე მოვახსენე: ვწუხვარ რომ თქვენის სურვილის სისრულეში მოყვანა არ შემიძლიან; წინააღმდეგ ამისა, მე სრული იმედი მაქვს, რომ სამოსწავლო საბჭოს ხელს აალებინებთ ამ მეტად საწყენ და მავნე აზრის განხორციელებაზე და იძულებული არ გამხდით სატახტო პრესაშიაც გადავიტანო ეს საკითხი მეთქი... და გამოვესალმე.

და ეს ისტორია ამ რიგად დამთავრდა: საბჭომ ხელი აიღო ქართულს რუსულს სახელმძღვანელოზე, და მეც ჩემი მხრივ ასეთი ხათრი გავუწიე მას: დედა-ენა ერთიორად გავადიდე. მაშინ ამ ჩემს წიგნში იყო 160 გვერდი, ახლა მას უჭირავს ორჯელ მეტი—340 გვერდი, ეს გაფართოვება „დედაენისა“ მოვახდინე იმ მოსაზრებით, რომ ვინიცობაა განახლდეს ბიუროკრატიული განზრახვ—ერთი საკითხავი წიგნით განსაზღვრონ ქართულის ენის პროგრამმა, ეს წიგნი იმდენად იყოს მდიდარი შინაარსით, რომ წერა-კითხვის გარდა შეასწავლოს ბავშვებს სახალხო შესაფერი ქმნილებანი პოეტური და პროზაული, ქრისტიანული ეთიკა, რომელიც ისე ზრდის ბავშვი ღირსეულს ადამიანსა, ელემენტარული ცნობანი: ბუნების მეტყველებიდან, საქართველოს გეოგრაფიიდან, ისტორიიდან და სხვანი...

სწორედ იმ ჟამად, როცა ბიუროკრატია გამსჭვალული იყო აზრით,—რაც შეიძლება ვიწრო ფარგალში მოექცია ქართული ენის სწავლება, გამოვიდა ქართული ანბანი და საკითხავი წიგნი, რომლის სივრცე ძლივს უდრიდა მაშინდელ „დედა-ენის“ მესამედს. მე ქართულს გაზეთში აღვნიშნე მხოლოდ სიცოტავე მასალისა, მხოლოდ სიმცირე შინაარსისა და სხვა არაფერი. გამოვსთქვი ის აზრი, რომ ამისთანა პატარა წიგნი ხელ-საყრელია ბიუროკრატიისათვის მეთქი, რომელსაც განზრახვა აქვს ერთი პატარა წიგნით ქართულის ენის სწავლება შეზღუდოს მეთქი. მართლაც, ბიუროკრატიამ არ დააყოვნა ამ მცირე სახელმძღვანელოს მოწონება და ამ მოწონების სწრაფი გამოცხადება „ცირკულიარში“. ამითაც არ დაკმაყოფილდა: მან ოფიციალურს კანვერტებში გაგზავნა რეკლამა — განცხადებანი ორივე ქართულ გუბერნის სახალხო სკოლებში. როცა ეს უკანასკნელი ხერხი ბიუროკრატიისა მე აღვნიშნე და განვმარტე, როგორც ძალდატანება მასწავლებლებისა, წინააღმდეგი კანონისა და პრაქტიკისა, იგი არ გაუშვა, ცენზურამ, რის გამოც ბ-ნი გუნიას საკვირაო გაზეთი, რომელშიაც იგი იბეჭდებოდა, თავის დროზე ვეღარ გამოვიდა. წიგნის ავტორის სასიქადულოდ, მან შეიგნო თავისი შეცდომა და მეორედ აღარ გამოუცია თავისი წიგნი.

ერთი ეს მიბძანეთ, სად არის აქ ან შეჩვენება ან შერისხვა? პირუთვნელი და სამართლიანი ადამიანი ჩემზე იტყოდა: ამ შემთხვევაშიაც იგი გზაზე გადაეღობა უსამართლო და მავნე წადილს ბიუროკრატიისასაო.

გადმოვიდეთ მახლობელს ფაქტებზე. სამის წლის წინად ქუთაისში დაიბეჭდა ახალი სახელმძღვანელო „გუთანი“, რომელიც დანიშნულია ავტორებისაგან მესამე და მეოთხე წლისათვის, იმ წლებისათვის, როდესაც იხმარება ჩემი „ბუნების კარი“. მაშასადამე საკონკურენციო გამოცემაა. ძმა ბიჭებმა ამ ახალს სახელმძღვანელოს ქება უძღვნეს და ამ ქებაშია არა ერთი კენჭი ესროლეს „ბუნების კარსა“. თუმცა ამ ახალს წიგნში მე ვხედავდი არა ერთს საარსო ნაკლულევანებას; მაგრამ ამის შესახებ კრინტიც არ დამიძრავს პრესაში. ვუთხარი ყველაზე ადრე მხოლოდ თვით ავტორებსა და ზოგიერთა მათს მეგობრებს. ამითიც არ დავკმაყოფილდი. ბუნების კარის ყდაზე იმავ თავით ვიწყე ბეჭდა განცხადებისა გუთნის შესახებ და სხვა ქართული სახელმძღვანელოებიც მოვაქციე ამ განცხადებაში, თუმცა ჩემთვის ეს არ უთხოვნიათ არც გუთნის შემთხზველებს და არც სხვებსა. აი რამდენად ეგოისტურად ვექცევი კონკურენტებსა! მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ ჩვენი პედაგოგის ბრალდება: ეგოისტს ყველგან ეგოიზმი ელანდება თვალში, როგორც თვალის სიყვითლით შეპყრობილი ყვითლად ჰხედავს ყველაფერსა.

უნდა გამოვტყდეთ, რომ სრულიად სხვანაირად მოიქცნენ „გუთნის“ შემქნელნი. გამოვიდა თუ არა მათი წიგნი, გამოაძევეს თავისი გიმნაზიის ყველა კლასებიდან „ბუნების კარი“ და გაამეფეს მხოლოდ თავისი სახელმძღვანელო. ერთი განყოფილება კი საჭიროდ ხდიდა ბუნების კარის ხმარებისა ერთს რომელსამე განყოფილებაში მაინც. საქმე ის გახლავთ, რომ სამშობლოს გეოგრაფიას და ისტორიას ადგილი სრულიად არა ჰქონდა, და არც ეხლა აქვს „გუთანში“. სამშობლო გეოგრაფია და ისტორია კი საძირკველია მამულიშვილობისა, სული და გულია სახელმძღვანელოსი. ერთსაც და მეორესაც „ბუნების კარში“ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მიუხედავად ამისა, „ბუნების კარს“ წილად არგუნეს ექსორია. „გუთნის“ შემადგენლები თავისი გიმნაზიიდან. კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ყოველი ღონე იხმარეს, რომ სადირექციო და სამრევლო სკოლებში „ბუნების კარის“ ნაცვლად შემოეღებინებინათ „გუთანი“ და სადაც კი გულის წადილს ეწივნენ, ყველგან გაუქმდა საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის შესწავლა. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ; მაგრამ მშვიდობას ვერ ვუსურვებთ, თუ მართალია ქუთაისიდან მოსული ხმა, ვითომც ის კრიტიკანული წერილი, რომელსაც ეხლა ვარკვევთ და რომელიც სავსეა სიცრუით და ცილისწამებით, გამოვიდა „გუთნის“ შემადგენლის ხელიდანაო, და ესევე შემადგენელნი სცდილობენ ახალი ქრისტომატია პირადად გამოსცენ, და სახალხო სკოლებში შეიტანონ მესამე წლიდან, რათა ბევრი გაჰყიდონო. თუ ეს მართალია, ცხადია სად არის ძაღლის კუდი დამარხული, და რამ გამოიწვია ის უსაზღვრო სიბრაზე, რომლითაც სავსეა კრიტიკანული წერილი.

ეხლა ავიღოთ სულ მახლობელი მაგალითი—ახალი რუსული ქრისტომატია, შედგენილი ბ-ნ ზედგინიძის და ჯაფარიძის მიერ კავკასიის მოსამზადებელ კლასებისათვის. რა აზრი გამოვთქვი მის შესახებ? წინადაც მოგახსენეთ, მე იგი ვაღიარე შესაფერად, შესაბამად თავისი მიზნისა და ვუსურვე დამკვიდრებულიყო ყველა კავკასიის მოსამზადებელს კლასებში. დავიწუნე მხოლოდ ჩვენი საუნჯე პედაგოგის აზრი, რომელიც მას სჩხირავდა ქართულს სახალხო სკოლებში, და ისიც მესამე წლიდან, დავიწუნე იმის გამო, რომ ეს ახალი რუსული სახელმძღვანელო არც მეთოდით და არც შინაარსით არ შეესაბამება ჩვენებურს სახალხო სკოლის მოთხოვნილებას; და ამ აზრისანი არიან თვით მისი ავტორები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი თავისს სახელმძღვანელოს დანიშნავდნენ არა მარტო მოსამზადებელ კლასებისათვის, არამედ სახალხო სკოლებისთვისაც მეთქი.

როგორც მკითხველი თავისი ბედნიერი თვალით ჰხედავს, ბ-ნ პედაგოგის დაწამება, ვითომც ჩვენ ყველა ახალს სახელმძღვანელოს ვეწინააღმდეგებოდეთ, აშკარად ღალატობს სიმართლესა, იოტის ოდენადაც არ ეთანხმება სინამდვილეს და წარმოადგენს პიტალო სიცრუეს, ცუდ სუნიანს ცილისწამებასა.

იაკობ გოგებაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

**მოსკოვი.** სთლქო სასამართლომ „რუსკოე სლოვოს" რედაქტორი რუინბოტის საქმის გამოქვეყნებისთვის ათი მანეთის ჯარიმა დაადო და ერთი კვირის შინ დამწყვდევა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი საზონსკი სტოკჰოლმის ელჩად და რწმუნებულ მინისტრად დაინიშნა.

**პეტერბურგი.** სასამართლოს რეფორმათა კომისიის უმეტესი წევრთ, ხუთის წინააღმდეგ, სასურველად სცნეს ქალებს ნაფიც ვექილად უფლების უფლება მიენიჭოთ.

# ანგარიში

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1910 წლის შემოსავალ-გასავლისა.**

I. **კასა.** 1 იანვარს 1910 წელს იყო 63 მ. 27 კ., ამავე წლის განმავლობაში შემოვიდა 10587 მ. 72 კ. სულ გახდა 10650 მ. 99 კ., გავიდა 10636 მ. 74 კ. 1 იანვარს 1911 წ., დარჩა 14 მ. 25 კ.

II. **სახელდახელო ანგარიში.** 1 იანვარს 1910 წ. იყო სამეურნეო ბანკში 406 მ. 28 კ., წლის განმავლობაში მიემატა 2293 მ. 72 კ., ზედ შეეკეცა 1910 წ. სარგებელი (4%) 15 მ. 94 კ., სულ 2715 მ. 94 კ., წლის განმავლობაში გამოტანილია 2055 მ., 1 იანვარს 1911 წ. დარჩა სამეურნეო ბანკში 660 მ. 94 კ.

III. **% ქაღალდები.** 1 იანვარს 1910 წ. იყო 14 ას-მანეთიანი 5% გირავნობის ფურცელი ტფ. სათ.-აზნ. ბანკისა 1005 მ. 80 კ., წლის განმავლობაში ნაყიდია ამავე ბანკისა და იმავე ღირებულების 11 ფურცელი 975 მ., 1 იანვარს 1911 წ. არის 25 გირავნობის ფურცელი 1980 მ. 80 კ.

IV. **% ქაღალდების სარგებელი.** 1 იანვარს 1910 წ. იყო კუპონებისა 28 მ. 50 კ., 1910 წ. მიეცა ნაყიდის გირავნობის ფურცლების (3) კუპონებისა 26 კ., იმავე წელს მიემატა 66 მ. 62 კ., სულ 121 მ. 12 კ., მიღებულია წლის განმავლობაში 61 მ. 75 კ. 1 იანვარს 1911 წ. დარჩა მისაღები 59 მ. 37 კ.

V. **წიგნების ბეჭდვა.** 1 იანვარს 1910 წ. იყო დახარჯული წიგნების ბეჭდვაზე 790 მ., 1910 წ. განმავლობაში დაიხარჯა 1159 მ. 54 კ., მისაღებია წიგნები 1949 მ. 54 კ.

VI. **შემოსავალი.** თანხების სარგებელი 74 მ. 90 კ., წლიური საწევრო გადასახადი 725 მ., ლექციები 78 მ. 75 კ., თავ.-აზნაურობის შემწეობა 1700 მ., შემოწირულება 102 მ., დაბრუნებული ხარჯი (საფოსტო) 5 მ. 22 კ. სულ 2685 მ. 87 კ.

VII. **გასავალი.** საკანცელარიო ხარჯი 292 მ. 9 კ., საფოსტო 96 მ. 52 კ., სამგზავრო 12 მ. 30 კ., ბიბლიოთეკა 156 მ. 14 კ., მუზეუმი 248 მ. 87 კ., ლექციების გამართვა 9 მ. 34 კ., მოსამსახურეები 41 მ., % ქაღალდების შენახვა 2 მ. 50 კ., ინვენტარი 36 მ. 27 კ., დაურიგდა წევრებს 99 ცალი წიგნი 124 მ. 48 კ., მიწის ნუსქების წიგნის დამტკიცება 40 მ. 45 კ.: მოულოდნელი ხარჯი 9 მ. 43 კ., სულ 1069 მ. 39 კ., შემოსავალს გადარჩა 1616 მან. 48 კაპ., სულ 2685 მ. 87 კ.

VIII. 1 იანვ. **ინვენტარი.** 1910 წ. იყო 96 მ. 52 კ., წლის განმავლობაში შეძენილია 266 მ. 18 კ., სულ 362 მ. 70 კ. გამორიცხულია 10 პროც. ღირებულებისა 36 მ. 27 კაპ. 1 იანვ. 1910 წ. დარჩა 326 მ. 43 კ.

XI. **წიგნები.** 1 იანვარს 1910 წ. იყო 1073-1257 მან. 90 კ., დაურიგდა წევრებს: „საქართველოს სიძველენი" II ტ. 42 ც. 42 მ. 97 კ., „ძველი საქართველო" I ტ. 57 ც. 81 მ. 51 კ., გაიყიდა 8 ცალი 25 მ., სულ 149 მ. 48 კ. დარჩა 1 იანვარს 1911 წელს 966 ც. სულ 1108 მ. 42 კ.

X. **აგენტები.** 1 იანვარს 1910 წ. იყო ქუთაისის აგენტზე: 10 ც. „საქართ. სიძველენ." II ტ. 10 მ. 23 კ., 10 ც. „ძველ საქართვ." I ტ. 14 მ. 30 კ., სულ 24 მ. 53 კ. 1 იანვარს 1911 წ. დარჩა 24 მ. 53 კ.

XI. **შენახული ფული.** შეტანილია სამეურნეო ბანკში შესანახად 5000 მან., 1 იანვარს 1911 წ. სულ 5000 მ.

XII. **საგანგებო თანხა.** ექიმის მრევლიშვილის ფონდი 5000 მ., 1 იანვარს 1911 წ. დარჩა 5000 მან.

XIII. **კრედიტორები:** ნასესხებია წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებისაგან წიგნების დასაბეჭდად 600 მან., 1 იანვარს 1911 წ. დარჩა 600 მან.

XIV. **ერთდროული საწევრო გადასახადი:** 1 იანვარს 1910 წ. იყო 650 მ. წლის განმავლობაში მიემატა 835 მან., 1 იანვარს 1911 წ. დარჩა 1485 მ.

XV. **სახარჯო თანხა:** 1 იანვარს 1910 წ. იყო 2422 მ. 80 კ., წლის განმავლობაში მიემატა 1616 მ. 48 კ., 1 იანვარს 1911 წ. დარჩა 4039 მ. 28 კაპ.

XVI. **ბალანსი: აქტივი.** კასა 14 მან. 25 კ., სახელდახელო ანგარიში 660 მ. 94 კ. % ქაღალდები 1980 მ. 80 კ., % გირავნობის ფურცლებისა 59 მ. 37 კაპ., წიგნების ბეჭდვა 1949 მ. 54 კ., ინვენტარი 326 მ. 43 კ., წიგნები 1108 მ. 42 კ., აგენტები 24 მ. 53 კ., შენახული ფული 5000 მ., სულ 11124 მ. 28 კ.

**პასივი:** კრედიტორები. 600 მ., ერთდროული საწევრო გადასახადი 1485 მ., საგანგებო თანხა 5000 მ., სახარჯო თანხა 4039 მ. 28 კ., სულ 11124 მ. 28 კ.

**ნავარაუდევი და ნამდვილი შემოსავალი და გასავალი 1910 წლისა.**

| | ნავარაუდევი | ნამდვილი | + ან — |
|---|---|---|---|
| 1909 წლის შემოსავალი დარჩენილი | 469—55 | 469—55 | |
| თანხების სარგებელი | 79— | 74—66 | — 4—34 |
| საწევრო გადასახადი | 700— | 725— | + 25— |
| შემწეობა თ.-აზნაურობისაგან | 1000— | 1700— | + 700— |
| შემოწირულობა | 100— | 102— | + 2— |
| | 2348—55 | 3071—21 | +722—66 |
| **გ ა ს ა ვ ა ლ ი** | | | |
| საკანცელარიო ხარჯი | 300— | 292—09 | — 7—91 |
| საფოსტო | 100— | 91—30 | — 8—70 |
| სამგზავრო | 20— | 12—30 | — 7—70 |
| წიგნების ბეჭდვა | 1200— | 1159—54 | — 40—46 |
| ნივთების და წიგ. შეძენა | 400— | 405—01 | + 5—01 |
| ინვენტარი | 260— | 266—18 | + 6—18 |
| მოსამსახურეები | 50— | 41— | — 9— |
| მოულოდნელი ხარჯი | 18—55 | 9—43 | — 9—12 |
| | 2348—55 | 2276—85 | — 71—70 |

**ნავარაუდო ანგარიში 1911 წლის შემოსავლისა და გასავლისა.**

**შემოსავალი:** 1910 წლის დარჩენილი 675 მ. 19 კ., თანხების სარგებელი 135 მან, საწევრო გადასახადი 700 მ., შემწეობა თავად-აზნაურობისაგან 6800 მ., შემოწირულება 100 მ., სულ 8410 მ. 19 კ.

**გასავალი:** საკანცელარიო ხარჯი 300 მ., საფოსტო 100 მ., სამგზავრო 500 მ., წიგნების ბეჭდვა 1400 მ., მუზეუმი და ბიბლიოთეკა 3800 მ., ინვენტარი 500 მ., ფრესკების გადაღება 1000 მ., ეკლესიების შეკეთება 600 მ., მოსამსახურეები 50 მ., მოულოდნელი ხარჯი 160 მ. 19 კ., სულ 8410 მ. 19 კ.

# შემოწირულება

**„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის".**

ამ წლის ოქტომბერსა და მიმდინარე ნოემბერში „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას" შემოსწირეს:

1) ნიკოლოზ როსტომის ძემ **კეკნაძემ**: ხელთნაწერი „სამოთხის კარი" საბა ორბელიანისა;

2) ლეონარდ ივანეს ძემ **ზუბალაშვილმა**—14 ხელთნაწერი;

3) სამსონ ლავრენტის ძემ **ბაიდაშვილმა**: ა) ხელთნაწერი საძღვნო წიგნი, ბ) წიგნი ზეციდამ მოძებული, გ) მედალი, ყმების განთავისუფლების აღსანიშნავად მოჭრილი და დ) 60 სიგელ-გუჯარი;

4) სოლომონ ესტატეს ძემ **ჯაგრიაშვილმა**—ხელთნაწერი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა";

5) ვასილ ავთანდილის ძემ **გარსევანიძემ**—ერთი სპილენძის ფული განჯის ხანისა;

6) ვახტანგ ნიკოლოზის ძემ **კანდელაკმა**— ორი ძველი თეთრი ფული: ქართული და სპარსული;

7) ივანე ანდრიას ძემ **გულისაშვილმა**—ორი მუსულმანური შავი ფული.

8) ნინო დავითის ასულმა **შატბერაშვილისამ**—ერთი შავი რუსული ფული;

9) ელისაბედ ანდრიას ასულმა **გულისაშვილისამ**—მანდილოსნის თმის გასაყოფი;

10) ნატალია სვიმონის ასულმა **გაგაბედაშვილისამ**: ა) ხელთნაწერი „ბეჟანიანი" და ბ) თეიმურაზ I-ის თხზულებანი;

11) ალექსანდრა ლევანის ასულმა **გარსევანიძისამ**—„დავითნი" დაბეჭდილი 1824 წელს (მხედრული);

12) ოლღა მიხეილის ასულმა **კურბატოვისამ**—თმის გასაყოფი (ვერცხლისა);

13) ნატალია ივანეს ასულმა **ჯაგრიაშვილისამ**—სავარცხლის ბუდე, ოქრომკედით ნაკერი;

14) გიგო **ყარანგოზიშვილმა**—რამდენიმე სიგელ-გუჯარი;

15) ნუშო ალექსის ასულმა **ქარხელიძემ**—ერთი ბელგიური თეთრი ფული;

16) ევა ივანეს ასულმა **კვესაძისამ**: —ა) წამლით დახატული ხატი ღვთისმშობლისა და ბ) სადაფი;

17) ბარბარე გიორგის ასულმა **გარსევანიძისამ**—ოქრომკედით ნაკერი თავსაკრავი;

18) ვასილ გიორგის ძემ **ნაზუცრიშვილმა**—ერთი თეთრი სპარსული ფული;

19) ლიდია ალექსანდრეს ასულმა **ბოტკოვსკისამ**—ერთი ძველი რუსული ათშაურიანი (1815 წლისა).

ამ სიის 1, 3—13 და 15—18 მუხლებ ქვეშ აღნიშნული ნივთები „საზოგადოებას" გადმოსცა ქ-მა ანა კაპანაძისამ.

შემომწირველთ „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" საბჭო უღრმეს მადლობას სწირავს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „სატანა", ცნობილი დრამა გორდინისა. ეს პიესა რამდენჯერმე დაიდგა ქართულ სცენაზე, ასე რომ საზოგადოება მას საკმაოდ იცნობს. ამიტომ განხილვას აღარ შევუდგებით. ჰერშულე დუბროვნერის როლი, ჩვეულებისამებრ, ბ-ნმა ვლ. მესხიშვილმა შეასრულა. პირველად რომ ვნახეთ, უფრო მოგვეწონა. უკანასკნელ წარმოდგენაზე ბ-ნ მესხიშვილს უგულობა ეტყობოდა, ალბათ იმიტომ, რომ ანსამბლი ხელს არ უწყობდა. კერძო შემსრულებელთაგან კარგად იყო მხოლოდ ბ-ნი არადელი-იშხნელი, რომელმაც დაკვირვებით და გრძნობით ჩაატარა აცკელ დრახმეს როლი. პესენიუს როლს თამაშობდა ქ-ნი ბეჟანაშვილი, ლეიზერ ბადხენისას—ბ-ნი ბერიშვილი. ორივე ცდილობდნენ, მაგრამ, ვისაც ქ-ნი ჯავახიშვილი და შალიკაშვილი უნახავს ამ როლებში, იმას ხსენებულ მსახიობთა თამაშობა ვერ დააკმაყოფილებდა. ფრეიდეინუს როლს ისევ ქ-ნი ნ. დავითაშვილი ასრულებდა, ციპეხიუს როლს კი ქ-ნმა ვიქტორელმა ითამაშა. საზოგადოდ ამ მსახიობმა კარგად ითამაშა, მაგრამ უკეთესი იქნებოდ, გადამეტებულის ენტუზიაზმით რომ არ ეხტუნავა სცენაზე. მეოთხე მოქმედებაშიაც, უკიდურეს ტანჯვის დროს, ერთბაშად ისე ცულლუტი კილო მიიღო, თითქოს ეს არის ეხლავე პირველ მოქმედების უდარდელი ციპენიუ წარმოგვიდგება თვალწინაო.

როლის უცოდინარობა, რაც ბევრს მსახიობს ეტყობოდა, ძალიან ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებდა. **№ 37.**

**ქართული წარმოდგენა.** კვირას ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა იოსებ გედევანიშვილისა „გამცემი", სამ მოქმედებიანი დრამა. მთავარ როლს თამაშობს ვლ. მესხიშვილი ამ პიესისთვის დახატულია ახალი დეკორაციები, შეკერილია ახალი ტანსაცმელები. პიესა თავის შინაარსით ეხება „განმათავისუფლებელ მოძრაობის" ხანას.

**ფოთი.** 6 ნოემბერს საკრებულო დარბაზში ადგილობრივმა დრამატიულმა საზოგადოებამ გამართა პირველი იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა; 1) „ძუნწი"—გიორგი ერისთავის და „ბუტიობა"—აკაკი წერეთლისა. წარმოდგენამ ერთობ კარგათ ჩაიარა. ყველამ ლამაზად შეასრულა თავიანთი როლები. საზოგადოებაც ბევრი დაესწრო—განსაკუთრებით მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა, რაც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ჯგუფს საკმაოთ მოეპოვება ღირსეული ძალები, მაგრამ გამგეობას სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ თავიდან არ ჰქონდა იმდენი დრო, რომ უფრო რთულ პიესისთვის მოეკიდა ხელი. დარწმუნებული ვართ, მომავალში უკეთ მოეწყობა საქმე. ამ გვარად დრამატიული საზოგადოება იწყობს ნაყოფიერ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთებს ეს შეუძლოთ მიაჩნდათ. ახლო მომავალში უნდა მოხდეს ახალი გამგეობის არჩევნები და ვიმედოვნებთ, ვისაც კი ესმის სცენის მნიშვნელობა არ დაიშურებს თავის წვლილის შეტანას ამ საზოგადოებაში. საზოგადოების უპირველესი მიზანი უნდა იყოს ფოთში მუდმივი სცენის შექმნა.

არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ ის არა საკადრისი საქციელი, რომელიც ჩაიდინა ბ-მა ზნაჩკოვსკიმ. იგი საკრებულოს მამასახლისთაგანია, რომელიც განაგებს სცენას. როდესაც შეიტყო წარმოდგენა სახალხო იაფ-ფასიანი იქნებაო, დარბაზის მიქირავებაზე უარი განაცხადა. მიზეზად ის მოიყვანა, რომ მუშები დარბაზს გასვრიანო. როცა ეს არ გაუვიდა, ორჯელ მეტი ქირა მოითხოვა იმასთან შედარებით, რასაც სხვებს ახდევინებენ... ნუ თუ ამას უკარნახებს ბ. ზნაჩკოვსკის „უმაღლესი" განათლება? დრამატიული საზოგადოება უნდა ეცადოს და ამ მდგომარეობას როგორმე დაახწიოს თავი. **ფრიქინა.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.**

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის საღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის საღ, 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ, 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში საღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. დილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში საღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარაში დილ 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარაში ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის საღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. საღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს საღამოს 10 ს. 12 წ,

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათომიდან:** სახალხო № 6, I—III კლას. ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო № 8,— ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—საღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** საფ. N 72—73,—დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ

**შენიშვნები:** 1) გადაუხდელად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.


# განცხადებანი

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

**მუხრანის ხიდთან**

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Московская ул., 9. и 48 Циціановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს. დე.

გ. მ. გოგოხერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. იოსელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეახერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაყვარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

ქეჩ შო—კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. გ. მიკირტუმოვი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმებისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—171

**ძმ. ავსარქისოვების**

**საგალოსნო**

**ჰყიდის ხილის ნერგებს:**

უცხოეთისას, რუსულსა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას—ხელსაყრელ ფასებში.

კატალოგები უფასოდ.

ადრესი: სადგ. ხრამ (ამიერ-კავკას. რკ. გზა), ავსარქისოვს. (11.1569.6)

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირების გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. ს. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუდიანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი· 1—1½ ს. შინაგან· და სიბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ქალ.-ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.- ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168 —180)

**ა გ ე ნ ტ ი**

**მ. ა. გაჩეჩილაძე**

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადებების შემკრებ აგენტებად ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და საქციონერო საზოგ. „ანონსისა" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

**სამშობიარო თავშესაფარი**

**მ. ი. პრემი**

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საბებიო საქმისათვის. განიკვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.

(25—913—8) ი. გ. კალამკაროვი.

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **სასწავლებლების ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის**. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ჩუღურეთზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя. (თ. 1084.19)

**თ მ ი ს**

**სადებავი**

კაკლის ექსტრაქტისა

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპტშავად. თავდებენი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711 **თევდ. მიულგენსი**

მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი

კოლნი და რ ● რიგა.

დაარს. 1792



ფასი ფლაკონისა 1 მან. 20 კაპ.

დიდი ფლაკ 2 მან.

Меткль 352138.

(9—1536—3)




(40—1456—25)

# გამოვიდა და იყიდება

**თხზულებანი:**

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა". . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . . | ფ: 85 კ. |
| Bâton-ისა: | „ერი და კაცობრიობა" . . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| მ. ყიფიანისა: | «სამშობლოს მთავარი ლეგან", ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . | ფ. 30 ფ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.


სტამბა „სორაპანი", მიხაილის ქუჩაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჟორდანიაშვილი.